

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი გეგმის შექმნას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული სტუდენტისთვის, მისი კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით, განსაზღვრავს სტუდენტისთვის პროგრამას, საათობრივ დატვირთვას, მეთოდებს და ა.შ.
2. ინდივიდუალური გეგმის შექმნის მიზანია დააკმაყოფილოს სტუდენტები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული საჭიროებები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და საჭიროებს აკადემიური მომზადებისათვის სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და სპეციალურ პირობებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება თუ სტუდენტს:
 - აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება
 - საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას სწავლებისას და შეფასებისას
 - არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული დროით საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დისკრეციას სტუდენტის არგუმენტირებული მომართვის საფუძველზე, განსაზღვროს, საჭიროებს თუ არა სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.
4. დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს რექტორს, სადაც ის ვალდებულია განცხადებაში აღწეროს საფუძველი და მტკიცებულებები, რატომ ითხოვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
5. რექტორი ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხები განსახილველად გააქვს აკადემიურ საბჭოზე. აკადემიური საბჭო განიხილავს დაინტერესებული პირის განცხადებას.
6. აკადემიურ საბჭოზე განიხილება კონკრეტული საკითხი, სადაც დგინდება, ის აუცილებელი მიდგომები და საჭიროებები, რომლებიც შემდგომ უნდა აისახოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. აკადემიურმა საბჭომ შეიძლება დაადგინოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა აუცილებლობა, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტის საჭიროების შესაბამისად იმ სპეციალისტის მიდგომას რაც აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში. აკადემიური საბჭოს მდივანი მორიგ აკადემიურ საბჭოზე იწვევს შესაბამისი კომპეტენციის პირებს.
7. აკადემიურ საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ევალება იმ სკოლას, რომლის სტუდენტისთვისაც დადგინდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება. შესაბამისი სკოლა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ოფისთან შეთანხმებით შეიმუშავებს აკადემიურ სასწავლო გეგმას.